

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტის თაობაზე

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ 29-ე მუხლის შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონისძიება, რომელიც გავლენას ახდენს ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაზე, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ასახული წლიურ საბიუჯეტო კანონში.

რესპუბლიკური ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტით, შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა იზრდება 8 289,2 ათასი ლარით, საიდანაც 2 000,0 ათასი ლარი მოდის არასაგადასახადო შემოსავლებზე, ხოლო კაპიტალური შემოსავლებზე 6 289,2 ათასი ლარი.

არასაგადასახადო შემოსავლების ცვლილებას საფუძვლად დაედო შესრულების რეალური მაჩვენებლები მიმდინარე პერიოდის შედეგების მიხედვით კერძოდ:

შემოსავლები მომსახურების გაწევიდან იზრდება 70,5 ათასი ლარით. იგი ძირითადად მოიცავს ტელევიზიისა და საარქივო სამსახურის მიერ გაწეული მომსახურებიდან საბიუჯეტო შენატანებს მიმდინარე პერიოდში შესრულება აღნიშნულ სახეში შეადგენს 94,0 %-ს;

სატენდერო მოსაკრებელის წლიური გეგმა გაიზარდა 20 ათასი ლარით (შესრულებამ მიმდინარე პერიოდისათვის შეადგინა 29,4 ათასი ლარი);

შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 10,0 ათასი ლარი. მიმდინარე პერიოდისათვის შესრულებამ შეადგინა 8,6 ათასი ლარი;

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებულ დივიდენდებში შესრულებამ მიმდინარე პერიოდისათვის შეადგინა 1512,4 ათასი ლარი, („ბათუმის თამბაქოს კომბინატი“-ს გაკოტრებიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეტანილ იქნა 1500,0 ლარი) აღნიშნულ სახეში შემოსავლის ზრდამ შეადგინა 1 600,0 ათასი ლარი;

შემოსავლები სესხებიდან წლიური გეგმა განისაზღვრა 1239,0 ათასი ლარით, ზრდამ შეადგინა 181,0 ათასი ლარი. აღნიშნულ ზრას საფუძვლად დაედო შ.პ.ს „ინტურისტპალასის“ მიერ აღებული ვალდებულება ბიუჯეტიდან მიღებულ სესხის დაფარვაზე 2008 წლის ბოლომდე.

სხვა არასაგადასახადო შემოსავლების წლიური გეგმა განისაზღვრა 458,5 ათასი ლარით. ზრდას ამ სახეში საფუძვლად დაედო შესრულება მიმდინარე პერიოდისათვის, რამაც შეადგინა 458,5 ათასი ლარი.

ხემაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 115 596,6 ათასი ლარის ოდენობით.

აჭარის ა რ მთავრობის მიერ წარმოდგენილი „აჭარის ა რ 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ა რ კანონში ცვლილებების შეტანის

თაობაზე კანონპროექტით, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდით მიღებული 8 289,2 ათასი ლარი და მიღებული ხარჯების ეკონომიით (1087,1 ათასი ლარი), მიღებული რესურსი გადანაწილდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ გაკეთებული განაცხადების შესაბამისად, ცალკეული ღონისძიებების მიხედვით.

გაზრდილი საბიუჯეტო გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს, აპარატის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დამატებით გამოიყო 97,4 ათასი ლარი;

საარქივო სამმართველოსათვის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და ქსეროქსის აპარატის შეძენის ხარჯებისათვის დამატებით გამოიყო 7,5 ათასი ლარი;

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტისათვის, შენობის სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა და სხვადასხვა ხარჯებისათვის დამატებით გამოიყო 675,0 ათასი ლარი;

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, სატყეო მეურნეობის მმართველის ტერიტორიული ორგანოების სახელფასო და სხვადასხვა ხარჯებისათვის გამოიყო 365,1 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დამატებით გამოიყო 75,4 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტს სხვადასხვა ხარჯებისათვის დამატებით გამოიყო 6,0 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დამატებით გამოიყო 47,6 ათასი ლარი, აგრეთვე კულტურული ღონისძიებებისათვის (ხარიტონ ახვლედიანის 100 წლის იუბილის, თეატრალური დასებისა და ფოლკლორული დღეების ჩასატარებლად) დამატებით გამოიყო 45,0 ლარი;

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, რესურსცენტრების სხვადასხვა ხარჯებისათვის დამატებით გამოიყო 14,5 ათასი ლარი;

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სახელფასო ფონდის მოწესრიგებისათვის დამატებით გამოიყო 57,0 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქვეუწყებო დაწესებულება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრუქტურული რეორგანიზაციისათვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამმართველოს საგადასახადო დავალიანების დავაფრვის მიზნით დამატებით გამოიყო 69,5 ათასი ლარი, აგრეთვე მიზნობრივი პროგრამებისათვის, „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ დაფინანსების მიზნით გამოიყო 68,9 ათასი ლარი, „სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის თანადაფინანსების მიზნით გამოიყო 39,0 ათასი ლარი, „თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის“ დაფინანსების მიზნით გამოიყო 178,0 ათასი ლარი, და

„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ დამატებით დაფინანსების მიზნით გამოიყო 100,0 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დამატებით გამოიყო 31,0 ათასი ლარი, სამინისტროს მიზნობრივი პროგრამა „მცირე მექანიზაციის საშუალებების შესყიდვის“ მიზნობრივი პროგრამისათვის დამატებით გამოიყო 500,0 ათასი ლარი, აგრეთვე სასოფლო ტრაქტორების შესყიდვისათვის დამატებით სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოიყო 1 000,0 ათასი ლარი;

სსიპ წყალზე სამაშველო სამსახურს, ხელშეკრულებით, ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით მოწვეულ სპეციალისტთა ანაზღაურებისათვის დამატებით გამოიყო 28,4 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში და თვითმმართველი ქალაქი ბათუმის სხვადასხვა კეთილმოწყობითი სამუშაოებისათვის დამატებით გამოიყო 5 903,0 ათასი ლარი, მათ შორის:

თვითმმართველი ქალაქი ბათუმი: 4230,0;

ქობულეთის მუნიციპალიტეტი: 77,3;

ქედის მუნიციპალიტეტი: 580,8;

შუახევის მუნიციპალიტეტი: 236,9;

ხულოს მუნიციპალიტეტი: 778,0;